

ღირსეული ფინიში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 13 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (მოსკოვი) 3:1 (0:1).

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, ჩელეებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი.

მოსკოვი: გონტარი, ნიკულინი, პაროვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი (კრამარენკო), გერშკოვიჩი, მინაევი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, კაზაჩონოვი (გავრილოვი).

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია ხინჩაგაშვილი.

ძნელად რომ ერთ კონკრეტულ მატჩში მოიყაროს თავი სპორტული ინტერესის იმდენმა ასპექტმა, როგორც ეს თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გუშინდელ შეხვედრაში იყო, რომ აღარათფერი ვთქვათ იმ ძველ ინტერესებზე, რომლებიც ოთხი ათეული წელია ერთმანეთთან აქვთ თანაკლუბელებს, მასპინძელთათვის ამოცანა კონკრეტულად იდგა: III ადგილი, ბრინჯაოს მედლები და მასთან ერთად გაისად უეფა–ს თასის გათამაშებაში მონაწილეობა. ამ მიზნების მისაღწევად მოსკოველებს ერთი ქულაც ყოველმხრივ აძლევდათ ხელს, თბილისელებს კი სჭირდებოდათ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება და ისიც სულ ცოტა 2 ბურთის სხვაობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრინჯაოს მედლები და უეფა–ს თასზე მონაწილეობაც გაურკვეველი მომავლის პრობლემად იქცეოდა.

მასპინძელთა მდგომარეობა მით უფრო გართულდა, როცა დასაწყისშივე სტუმრებმა ერთდერთი კონტრპეტევისას წარმატებას მიაღწიეს. არსებითად, ამ ეპიზოდში თბილისელებს არავითარი ხიფათი არ ელოდათ, მაგრამ დაცვაში დაშვებული იქნა ელემენტარული შეცდომა, რომელიც ზუსტად გამოიყენა კაზაჩონოვმა – 1:0.

აღნიშნული მომენტი, უდავოდ, გამოწვევის წარმოადგენდა არა მარტო ამ პერიოდში, არამედ საერთოდ, ვინაიდან თამაშის სადავეები მტკიცედ ეპყრათ ხელთ მასპინძლებს, სტუმრები კი უმთავრესად მომგერიებელთა როლში გამოდიოდნენ.

ეს უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახდა თამაშის მეორე ნახევარში. მიმდინარეობდა 50–ე წუთი, მოსკოველთა მეკარე გონტარი შეცდა, ანგარიშშიუცემლად გაჰყვა ყიფიანს საჯარიმო მოედნის კუთხეში, თბილისელმა მას ტექნიკურად გადაუგდო თავს ზემოთ ბურთი და მეკარის ლაფსუსი გოლად აქცია ჩელეებაძემ – 1:1.

68–ე წუთზე, მასპინძელთა ერთ–ერთი იერიშისას საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: მოსკოველთა მცველებს სურდათ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა შეექმნათ ჩელეებაძისთვის, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ქორიძემ დროზე მიაწოდა მას ბურთი. ჩელეებაძე პირისპირ გავიდა გონტართან და მეორე ბურთი გაიტანა მის კარში.

აი, აქ გახდა ცხადი, რომ შეიძლებოდა არა მარტო მატჩის მოგება, არამედ გამარჯვება იმ ანგარიშით, რომელიც სხვა, უფრო დიდ მიზნებს შეასხამდა ხორცს. 89–ე წუთზე ყიფიანი–მაჩაიძის კომბინაცია მესამე გოლით დასრულდა და თბილისის დინამოელებმა 1976 წლის სეზონის ღირსეული ფინიშით კიდევ ერთი სიხარული

მოუტანეს თავიანთ გულშემატკივრებს: ისინი კვლავ ბრინჯაოს პრიზიორები არიან და კვლავ ითამაშებენ ევროპის ოფიციალურ ტურნირში.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 14 ნოემბერი, 1976 წ.